

ქ. გოგიძე

კამთვანელი
კრატორი
კიბეჭისი



„მიეცა შეომისა და თავდაცვის საბჭოს
ამა წლის 18 ივნისის დაღენილებით გა-
მომდონებელ ვლადიმერ ივანეს ძე ბე-
ქაურს, რომ გას დავალებული აქვს
სასწრაფოდ განახორციელოს თავისი
სამხედრო-საიდუმლო ხასიათის გამოგო-
ნებანი...“

1921 წლის 9 აგვისტოს ვლა-
დიმერ ბექაურის სახელზე ვ. ა.
ლენინის ხელმოწერით გაცემული
მანდატიდან.

ლილი დი გენე
ოქონ სიყვარუა
ჩერქეზი იაგო
15/III. 686.

ა
ვ
ტ
ო
რ
ი
მოგვითხრობს რევოლუციონერისა და
გამოჩენილი გამომგონებლის ქლადმერ ივანეს ქე
ბექაურის ცხოვრებასა და მოლაპწეობაშე. ვ. ბექაური
არის ორმოცდაათზე მეტი ტექნიკური გამოგონების
ავტორი, რომელსაც თვალსაჩინო სამხედრო-სახელ-
მწიფოებრივი მნაშვნელობა აქვთ. მან 1921 წელს
ლენინის მიერ ხელმოწერილი მანდატით ლენინგრად-
ში შექმნა გამოგონებათა განსაკუთრებული ტექნი-
კური ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობდა თითქმის
ორი ათეული წლის განმავლობაში.

1—6—4

41—68 ადგ.



ვ. ა. ბექაური. 1936 წ.

არიან ადამიანები, რომელთა საქმენი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათს ხსოვნას ვერას აკლებს უამთა სვლა, მათს სახელებს შთამომავლობა არ ივიწყებს და შარავანდელით მოსავს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის მგზნებარე რევოლუციონერი და ნიჭიერი გამომგონებელი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ ივანეს ძე ბექაური.

სკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში აღმოვაჩინეთ დღემდე უცნობი ლენინური დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ვლადიმერ ივანეს ძე ბექაურის სახელთან. ეს არის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 13 და 18 ივლისით დათარიღებული დადგენილებები. საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით. საბჭოს დადგენილებით ბექაურს ენიჭებოდა თავისი გამოგონებების შემოწმებისა და დანერგვის უფლება. აქვე არის ბელადის მიერ ხელმოწერილი მანდატი, რომელიც ვ. ბექაურს განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს შესაქმნელად მიეცა.

ამ დოკუმენტებმა ძალზე დაგვაინტერესა და მასალების შეგროვებას შევუდექით. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შევქმით გვეპოვა საინტერესო საბუთები, მოგვენახა ადამიანები,

ტომლებსაც ვ. ი. ბექაურთან ერთად უმუშავით და მას კარგად იცნობდნენ. ესენი არიან ქართველი გამომგონებლის მიერ ჩამოყალიბებული განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს უზუესი თანამშრომლები: სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. ვ. კრივონოსვი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ი. ეფრუსი, თადარიგის გენერალ-მაიორები ი. ნ. არტემოვი და ს. მ. სანდლერი, თადარიგის გენერალ-მაიორი დ. ნ. ნიკიშევი, პეტერიალური პენსიონერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნ. ლ. პოპოვი, პეტერიალური პენსიონერი დ. ნ. კიბიატკოვი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი ტ. მ. მიხაილოვი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მთავარი სპეციალისტი ა. ი. მირვისი, ინჟინერები ი. ლ. პავლოვი, ა. გ. მოროზოვი, კ. ს. ნიკიფოროვი, ვ. გ. შუბერტი, ე. დ. ლუკინი, პროფესორი ს. პ. ზავალსკო, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ს. ვ. ანიჩკოვი და სხვები.

ვ. ი. ბექაურის საგამომგონებლო საქმიანობაზე თავისი აზრი გაგვიჩიარეს აგრეთვე პოლიტიკური ა. მ. კისელი-ოვა და პროფესიონალმა რეკოლუციონერმა ს. ი. ქავთარაძემ, რომელთაც ულრიქეს მაღლობას მოვახსენებთ.

საარქივო მასალებისა და აღნიშნულ პირთა მოგონებების საფუძველზე შევძელით აღვეღინა ჩვენი სახელოვანი თანამებამულის შინაარსიანი და მეტად საინტერესო ცხოვრების ნათელი სურათი.

ვ. ი. ბექაური დაიბადა 1882 წლის 27 დეკემბერს თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის სოფელ კიტოხში. მას მავაზრე გარდაცვალა. უმარჩენლოდ ოჯახს ძალიან გაუჭირდა

და იძულებული შეიქნა გადასახლებულიყო ხაშურის მაზრის სოფელ ალში, დედის ნათესავებთან. როდესაც პატარა ვალოდია სასკოლო ასაკისა გახდა, დედამ იგი ხაშურის რკინიგზის სკოლაში (ამჟამად მე-13 საშუალო სკოლა) მიაბარა, რომელიც 1899 წელს დაამთავრა. იმავე წელს იგი შევიდა თბილისის მიხეილის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში (ამჟამად შრომის წითელი დროშის ორგანოსანი თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი). მაშინ ეს იყო ამ ტიპის ერთადერთი სპეციალური სასწავლებელი არა მარტო საქართველოში, არა-მედ მთელ ამიერკავკასიშიც.

1903 წელს ვ. ი. ბექაურმა დაამთავრა რკინიგზის სასწავლებელი. დირექციამ, როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, ვ. ბექაური დაავილდოვა ა. ს. პუშკინის ლექსისგან და მოთხრობების წიგნით. წიგნს ასეთი წარწერა ჰქონდა: „სანიტურო კოდაქციელისა და ჩინებული წარმატებებისათვის“, აგრეთვე აჩუქეს მეორე წიგნიც — „ციმბირის დიდი რკინიგზა“¹.

1903—1904 წლებში ვ. ი. ბექაური მუშაობდა ტექნიკურსად ამიერკავკასიის რკინიგზის მე-13 სამშენებლო უბანზე. მისი ცელმძღვანელობით ხარავოულისა და ძირულის სადგურებს შორის, სოფელ ლაშესთან, გაყვანილ იქნა 64 მეტრი სიგრძის ვეირაბი. ვეირაბის შესასვლელთან, მარცხენა კედელზე, დღესაც გარკვევით ჩანს ქვაზე ამოკვეთილი ვ. ი. ბექაურის ინიციალები.

რკინიგზის ახალგაზრდა მშენებელი 1904 წელს მუშაობდა ტრანსის მიმოკვლევის ტექნიკურსად ჭულფი — თავრიზის ხაზის

¹ საქართველოს სსრ უნიტარური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 1342, ს. 59, ფ. 11—12.

მშენებლობაზე, ხოლო მომდევნო წელიწადს — კაუჩინძი — ჩუჯულინის გზის მშენებლობის მეთაღყურე ტექნიკოსად ვადაიყვანეს.

1905 წლას რევოლუციის ბობოქარ დღეებში ვ. ი. ბექაური სამუშაოდ ხაშურში (მაშინ ხაშურს მიხაილოვო ერქვა) გადავიდა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ხაშურის საორქელისავლო დეპოს მუშათა გამოსცელებში. მეფის თვითმკყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების პერიოდში ადგილობრივმა რევოლუციურმა კომიტეტმა მას, როგორც გამომგონებელს, დაავალა ბომბების დამზადება. ხაშურის მეცნიერი, პერსონალური პენსიონერი გიორგი ქურაძე გვიამბობს, თუ როგორი ენთუზიაზმით შეუდგა ვ. ბექაური მიღებული დავალების შესრულებას. მან რეინიგზელევან ხარატის სახლის სარდაფში მოაწყო ლაბორატორია-სახლოსნო ბომბების დასამზადებლად. ამ ფრიადმნიშვნელოვან საქმეში მას ეხმარებოდნენ მუშა-რევოლუციონერები ლაზრო გელაშვილი (იგივე კაჭუნაშვილი), ვლადიმერ ბულაძე და ალექსანდრე ნოზაძე.

ახალგაზრდა თვითნასწავლმა გამომგონებელმა გარდა ბომბებისა ხაშურელთა მებრძოლი რაზმისათვის დამზადა აგრეთვე თვითნაკეთი ზარბაზანიც¹. ზარბაზნის კონსტრუქცია სრულიად მარტივი იყო: გუთინის თვლებს ჩაინის გვერგვებით დაამაგრეს თრთქლმავლის „გრძივი“ (საცეცხლე) მილი, რომელსაც საკეტი გაუკეთეს. 1905 წელს ეს ზარბაზანი რკინიგზელმა მუშებმა გამოიყენეს კაზაკების დროს

¹ ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ღიტერატურაში აქამდე ცნობილი არ იყო ხაშურში ბომბებისა და ზარბაზნის გამკეთებლის ვრნაბა.

ხაშურის სადგურის ჩარბაზნის ცეცხლმა ბექაურის ზარბაზნის ცეცხლმა დასხელთა რიგებში არევ-დარევა შეიტანა, მაგრამ, სამწუხა-როდ, ძალები ჭერ კიდევ საკმარისი არ იყო და აჯანყებულნი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ვ. ი. ბექაური არალეგალურად ცხოვრიბდა, ხოლო 1907 წელს იძულებული გახდა მმერ-კავებისა დაეტოვებინა.

პოლიციას რომ ხელში არ ჩავარდნოდა, მან თავი აარიდა სამხედრო სამსახურში გაწვევას. 1908 წლის 25 ივნისს გაზეთ „კავკაზში“ გამოკვეყნდა შემდეგი ცნობა:

„ობილისის გუბერნიის დუშეთის სამხედრო ბეგარის სა-მაზრო საკრებულო დაექებს ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, რომლებიც დროზე არ გამოცხადდნენ გაწვევაზე სამხედრო ბეგარის მოსახდელად და თავს არიდებენ გამოცხადებას და რომელთა ადგილსამყოფელი საკრებულოსათვის უცნობია. უველას, ვისთვისაც ცნობილია ამ პირთა ადგილსამყოფელი, ევალება შეატყობინოს საკრებულოს, თუ სად იმყოფებიან საქმეში. ამ სიაში აღნიშნული იყო ვ. ი. ბექაურიც — კიტონიშვილი“. ამ სიაში აღნიშნული იყო ვ. ი. ბექაურიც — კიტონიშვილი გლეხის შეილი, რომელიც მეფის სამხედრო სამსახურში უნდა გაწვიათ.

პოლიციის დევნით შეწუხებული ვ. ი. ბექაური 1907 წელს ციმბირში გადასხლდა. რამდენიმე წნის შემდეგ ის ჩადის კუტირბურებში, სადაც ცოლად შეირთო ლილია ვალსტრემი — კუტირბურების, სადაც ცოლად შეირთო კარხნის მჭედელი კუტიროვას (ამჟამად კიროვის სახელობის) ქარხნის მჭედელი

¹ ლენინგრადის პარტიული არქივი, ვ. ი. ბექაურის პირადი საქმე, № 149470.

² გამ. „კავკაზი“, № 168, 1908 წ., 25 ივნის.

მუშის, ეროვნებით შევდის, ქალიშვილი. მალე მათ შეეძინათ გაღიმშვილი ნინო. ნინო ვლადიმერის ასული ბექაური არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნი-ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გამოჩენილი რია 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა ნერვული სისტემის უზინოლოგის აკადემიკოს ლ. ა. ოჩებელის მოწაფე. იგი ავტო-რია 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა ნერვული სისტემის უზინოლოგის დარგში. ნინო ბექაურმა შეიმუშავა ირიდო-ციკლიტების განსაკუთრებით მძიმე ფორმების დროს თვალის თვალის წესი (გამოქვეყნებულია გამოგონებათა 1960 წლის № 22 ბიულეტენში), რისთვისაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსათნ არსებულმა გამოგონებათა და აღმოჩენების საქმე-თა კომიტეტმა ნ. ვ. ბექაურს სავტორო მოწმობა მისცა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ბექა-ურების ოჯახი ცხოვრობდა შემთხვევითი შემოსავლით, რასაც ვლადიმერი იღებდა წვრილ-წვრილი ტექნიკური გამოგონე-სათამაშოების სრულყოფისათვის (მათ შორის მექანიკური ული შეკვეთებიც: ნახახები, სხვადასხვა გაანგარიშებანი. სწო-ლობის აღნიშვნებს ბეჭდავდა მოძრავი ქაღალდის ლენტე, აგრეთვე პარატი ვაგონების მოცდენის რეგისტრაციისა და აღრიცხვისათვის და სხვ. მათ პერიოდის ზოგიერთი მისი სამხედრო-ტექნიკური ხასიათის გამოგონება მეფის რუსეთის სამხედრო უწყებას არ მიუღია. ქართველმა გამოგონებელმაც გაიზიარა სამხედრო ტექნიკის დაჩვის ბევრი რუსი გამოგო-ნებლის მწარე ხვედრი.

მართალია, ვ. ი. ბექაურს მთელი არსებით სძაგლა მეფის თვითმპყრობელობა, მაგრამ მას გულშიც კი არ გაუვლია პა-ტენტი სამშობლოს გარეთ ედო და თავისი გამოგონებები უცხოელებისათვის მიეყიდა. ერთადერთი პატენტი, რომელიც მიიღო არა მარტო რუსეთში, არამედ გერმანიაში, საცრანგეთ-ში, ინგლისში, იტალიასა და იაპონიაშიც, ეს იყო გამოგონება ირასახელით მნიშვნელობისა; იგი ეხებოდა ავტომატური დამცავი სიგნალიზაციის მოწყობის ხერხს, რომელიც განვაჭ-ტესდა სეიფებსა თუ საჭყობებში ბოროტოქმედთა შეპარვის დროს, სულ ერთია ეს ბოროტოქმედნი გაანგრევდნენ კე-დელს, იატაქს თუ ჭერს.

ვ. ი. ბექაურის როგორც გამოგონებლის ნიჭი სრულად გამოვლინდა მხოლოდ დაღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა გამომგონებელთა, რაციონალი-ზარიორთა და წარმოების ნოვატორთა წინაშე დაისახა შემოქ-მედებითი მუშაობის ფართო პერსპექტივები, როცა შრომა დიდებისა და სახელის საქმედ იქცა.

„ვლადიმერ ივანეს ძე ბექაური, — აღნიშნავს თავის მო-ვლებებში ს. ვ. კრივონასოვი, — იყო ნიჭიერი, ცოდნისა-მოყარე აღამიანი, რომელსაც ვააჩნდა ანალიზური აზროვნე-ბის უნარი, შემოქმედებითი ნებისყოფის მქონე ხასიათი, ერთობ დიდი შრომისმოყარეობა და სიბეჭითე. მან გაშალა შექეფარე საქმიანობა და მეტად ნაყოფიერი გამომგონებელი აღმოჩნდა. მისი საქმიანობა მოიცავდა ტექნიკის სხვადასხვა დარგს — მოსამართი მექანიკური საბავშვო სათამაშოებით დაწყებული და სამხედრო ხასიათის ფრიადმნიშვნელოვანი გამოგონებებით დამთავრებული“.

1 ივტორის პირადი ფონდი, ს. ვ. კრივონასოვის მოგონებებიდან.
ვ. 25.

ვ. ი. ბექაური იყო მაღალი ტექნიკური კულტურის აღა-
მინი, მას ჰქონდა მრავალმხრივი ცოდნა, გამოიჩინეოდა განსა-
კუთრებული შრომისუნარიანობით. ამის დასაბასტურებლად
გამოდგება ის დახასიათებები, რომლებიც გამომგონებელს
მიუღია თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის
სხვადასხვა პერიოდში. ასე, მაგალითად, 1920 წელს საუკა-
გამოგონებათა და გაუმჯობესებების საქმეთა კომიტეტი ბექა-
ურზე წერდა: „...ნიჭიერი გამომგონებელი, ტექნიკური საქმის
ენერგიული ორგანიზატორი, ძალზე კორექტული ადამიანი.
დაკისრებულ მოვალეობასა და დავალებებს ასრულებს ზუს-
ტად, კეთილსინდისიერად და ფაქტზად... სანამ თავის გამოგო-
ნებას წარადგენდეს, იგი დაწვრილებით აწონ-დაწონის
ყოველგვარ გარემოებასა და რეალური განხორციელების
შესაძლებლობას. ასეთია მისი ხელსაწყოები სეიცებისა და
საწყობების დასაცავად, მუშების დასათვლელად, ამას გარდა,
სამხედრო ხსიათის გამოგონებები არანაკლებ შესანიშნავი და
სერიოზულია“¹.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციამდე გამომ-
გონებლობა უაღრესად პირადული საქმე იყო, ხოლო გამოგო-
ნებები — კერძო საკუთრება. ყველაფერ ამასთან ერთად
გამომგონებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების გზა
სულიერი კრახით მთავრდებოდა. ნივთიერი ხელმოკლეობისა
და დახმარების გაუწევლობის გამო ბევრი მათგანი იძულე-
ბული ხდებოდა ხელი იელო შემოქმედებითს მუშაობაზე.

მხოლოდ სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა ჩვენს

¹ სსრკ თავდაცვის სამინისტროს გამოგონებათა განყოფილების მას-
ლებიდან.

ეყანაში პირობები გამომგონებლობის ფართოდ განვითა-
ებისათვის. ამ მიმართულებით მომუშავე ადამიანებს სრული
საქმიანობის გასაშლელად.

ტექნიკური პროგრესის განვითარებას, როგორც ცნობი-
ლია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი.
თეოზოგიურ მილიონობით შემოქმედის გონება, — ამბობდა
ლიჩი, — ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიდრე
კილაზე დიდი და გენიალური წინასწარკვრეტა“¹.

ვ. ი. ლენინი უდიდეს ინტერესს იჩენდა მეცნიერების მილ-
იობისადმი რადიოტექნიკის, საარტილერიო, ავიაციისა და
ხელისა დარგებში. მისი პირადი ინტივით შექმნა ცენტრა-
ლური აეროპილიტიკინამიკური ინსტიტუტი, რომელიც შემდ-
გომში თანამედროვე თვითმფრინავმშენებლობის მძლავრი
იმპერიურო ბაზა გახდა. ვლადიმერ ილიას ძე ყოველმხრივ
ხმარებოდა ნიუნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიებისა და
სისკოვის ცენტრალური რადიოსადგურის მშენებლობას. ამ
შენებლობებს უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ვ. ი. ლენინმა მხარი დაუჭირა ბევრ გამოგონებას, რომ-
ლებმაც თვალსაჩინო როლი შეასრულეს ჩვენი სახალხო
მეცნიერების განვითარებაში, როგორიცაა გამოგონებები
თაღიოტექნიკის, ტორფის პიღრავლიკური მოპოვების, ფიქ-
ლების მრეწველობის განვითარების, პირველი თბომავლების
ცეცისა და ტექნიკის ბევრ სხვა დარგში.

სამოქალაქო ომის უშმიერს პირობებში განსაკუთრებული
კურადღება, ბუნებრივია, ეთმობლი სამხედრო-ტექნიკურ
კამომგონებლობას. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი პოულობდა

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 26, გვ. 196 (რუს. გამ.).

დროს პირადად გასცნობოდა უმნიშვნელოვანეს სამხედრო გამოგონებებს. ცონბილია, რომ ვ. ი. ლენინი მ. გორქისთა ერთად 1920 წლის 18 ივნისს ეწვია მთავარ საარტილერიის სამმართველოს, სადაც დაესწრო ა. გ. ივნარიევის მიერ გამოგონებული საარტილერიო ოპტიკური ხელსაწყოს ჩვენება შემოწმებას. თვალის ერთი გადავლებითაც რომ გავეცნოთ სამოქალაქო ომის პერიოდის თავდაცვითი მრეწველობის დარგის გამოგონებებს, დავრწმუნდებით, რომ საბჭოთა თავდაცვითი გამომგონებლობა თავის ჩამოყალიბებას ვ. ი. ლენინი უნდა უმაღლოდეს.

ჩვენს ქვეყანაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციონის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ნიშანს ვეტია ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი რუსეთის სუსახ სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 30 ივნისის დეკრეტი, რომლითაც დამტკიცდა „დეპულება“ გამოგონებათა შესახებ. ამ დეკრეტით ჩვენს ქვეყანაში გამომგონებლობა ცხადდებოდა სახელმწიფო ბრძოლის საქმედ, ხოლო თუთ გამოგონებანი — საზოგადოებრივ კუთვნილებად. ამავე დროს გამომგონებელს რჩებოდა ავტორობის უფლება და ყოველი სასაჩვებლოდ აღიარებული გამოგონებისათვის მიეცემოდა გასამრეცველობა.

„გამოგონებათა შესახებ“ ლენინური დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა სოციალისტურ საგამომგონებლო სამართლოს. პირველად ისტორიაში სახელმწიფო ორგანოები მოვალეობა გახდენ კანონის მიხედვით ხელი შეეწყოთ ყოველი სასაჩვებლო გამოგონებისა და გაუმჯობესების წარმოებაში დაწერებისათვის. ამ დეკრეტით დაზუსტდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა

გამოგონებათა და გაუმჯობესებების საქმეთა კომიტეტის მოქადაგები და ფუნქციები, ამაღლდა ამ ორგანოების ორი.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ტექნიკური პროგრესის საკითხებს, როგორც უდიდესი მნიშვნელობის საქმეს, მოვა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. „თუ რუსეთი გადავიყვანეთ სხვა, წინადელთან შედარებით უფრო მაღალ ტექნიკაზე, ისე შეუძლებელია ლაპარაკი სახალხო მუშაობის აღდგენასა და კომუნიზმზე. კომუნიზმი არას აბითოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფაუიდა...“¹. — ეს სიტყვები ლენინის მიერ სწორედ იმ პერიოდში იყო თქმული, როდესაც ტექნიკური პროგრესის გზაზე უსეთის გადავიყვანის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი იხდა გამხდარიყო საბჭოთა საგამომგონებლო შემოქმედება და სუჟათა, გლეხთა, ინტელიგენციის უფართოესი მასების ნოვაციონიბა. „მეცნიერების, პროლეტარიატისა და ტექნიკის წარმადგენლების კავშირის წინაშე ვერავითარი ბნელი ძალა ვიზუალური გაძლებს“². — ასწავლიდა მშრომელებს დიდი ლენინი.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საკითხები ვ. ი. ლენინის დაუცხრომელი ზრუნვის საგანი იყო შევიღობინი შენებლობის წლებშიც. ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩინდა სამხედრო გამომგონებლობის, საბჭოთა სამხედრო ტექნიკის განვითარების მიმართ. აი ისის წერდა ამის გამო ნ. კ. კრუპსკაია: „...მასხენდება ილიჩთან საუბარი... იგი ჯერ სხვადასხვა მიმდინარე საკითხებზე ლაპარაკისათვის. ამ დეკრეტით დაზუსტდა სახალხო მეურნეობის

¹ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 31, გვ. 513.

² ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 30, გვ. 484.

რაკობდა... მეტე კი — ერთ-ერთ გამოგონებასთან დაკავშირდით — იმაზე, რომ ახალი გამოგონებანი მეცნიერებისა და საშუალებით და უაღრესად გონიერამახვილური კონსტრუქტორის ცეკვის დარგში ჩვენი ქვეყნის თავდაცვას ისე გააძლიერდეს და საუბარი დაახლოებით ისეთ დროს მოხდა, რომ შესაძლებელია სხვა გამომგონებლებთან ერთად ბელადის სიტყვები 3. ი. ბეჭაურსაც ეხებოდა.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების თვალსაჩინო მოწვევაში, ამჟამად საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პრენსიონერი ს. ი. ქავთარაძე იღონებს, რომ ვლადიმერ ბეჭაურმა ერთხელ მას გაუზიარა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების თაობაზე ვ. ი. ლენინთან საუბრის დროს მიღებული შთაბეჭიდილებები. მაშინ ვლადიმერი ილიას ძეს ბეჭაურისათვის უთქვაში: — თქვენი გამოგონებებით სახელმწიფოს ათვისუფლებთ უდიდესი ხარჯებისაგან აი რას გვიამბობს ვ. ი. ლენინთან ვ. ი. ბეჭაურის შეხვედრებზე სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. პ. გორბუნოვი:

„მშევრივრად მახსოვე მთელი რიგი საუბრები და შეხვედრები ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა გამომგონებლებთან. იგი რომად სწვდებოდა ცალკეულ დიდმანშვნელოვან გამოგონებათა არს. მახსოვე, მავალითად, რა უდიდესი ყურადღებით და ინტერესით მოეკიდა ვლადიმერ ილიას ძე ვლადიმერ ივანეს ძე ბეჭაურის გამოგონებას, როდესაც მან თავისი ორი გამოგონება გააცნო — მართვა მანძილზე ბეჭრითი სიგნალები.

¹ „მოგონებანი ლენინზე“, 1962, გვ. 682 (რუს. გამოც.).

² ეურ. „იზობრეტატელ“, № 1, 1934 წ., ეურ. „იზობრეტატელ არაციონალიზატორი“, № 4, 1960 წ., გვ. 3—4.

³ ეურ. „ცოპროსი ისტორიი“, № 4, 1962 წ., გვ. 10.

ვ. ი. ლენინს თვითეული გამომგონებელი და რაციონალისტორი თანამებრძოლ იმხანაგად მიაჩნდა. გამომგონებლებში ხელავდა ტექნიკის რევოლუციონერს, ხოლო თვით სიტყვეს „გამომგონებელი“ ხმარობდა აღამიანის საუკეთესო მიხარითებისათვის.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის მთავრებილის ვ. ა. სმოლიანინოვის სიტყვებიდან ჩანს, რომ ვლადიმერ ილიას ძეს ძალიან უყვარდა გამომგონებლები და ისინი მიღიოდნენ მასთან, შეიძლება ითქვას, ყველაზე, მიმართავდნენ თავიათი წინადაღებებით. რადგან მასში ხელავდნენ ადამიანს, რომელიც გაიგებდა მათს მისწრაფებას — თვითით შემოქმედებით სარგებლობა მოეტანათ ჩვენს ქვეყნის სოციალიზმის საქმისათვის“².

ლენინის ხასიათის ამ შესანიშნავ თვისებაში თავისი გამოყენებით დარწმუნდა ვ. ბეჭაურიც, რომელიც იმხანად შეუმაობდა პეტროგრადის სათბობით მომარავების პასუხისმიერებულ ორგანიზატორად და პეტროგრადის რკინიგზის კვან-

ძის ოწმუნებულად. მან სწორედ ამ პერიოდში გააცნო ლენინი თავისი გამოგონება სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნიკურ აღმურვილობის დარგში და სთხოვა დახმარება გაეწია თავი დაცვითი მნიშვნელობის ახალი საგამომგონებლო ჩანაფიქრების განხორციელებაში.


შერ კიდევ 1920 წლის 8 დეკემბერს, ვ. ი. ბექაური ლენინთან შეხვედრამდე, შედგა საკავშირო სახალხო გეურ ნეობის საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების კომისიის სხდომა, რომელზეც იხილავდნენ საკითხს „ვ. ი. ბექაურის საგამომგონებლო-ექსპერიმენტულ სახელოსნოს შექმნის შესახებ“. სხდომაზე უცილებლად მიიჩნიეს „გამოყოფ სახელოსნო და მისი მომავალი პერსონალი, როგორც საორგანიზაციო, ისე აღმასრულებელი დამკერელი ჯგუფის სურსათით და მასალებით მომარაგებისა და პირადი შემადგენლობის შრომის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. ამაზე აღიძრას სათანადო შუამდგომლობა სახომის საბჭოს წინაშე პროფესიისათვის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით“¹.

1921 წელს ვ. ი. ბექაურის ინიციატივით შეიქმნა განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო, რომელიც მაშინვე ოპერატორულად იქნა დაფინანსებული. გასავლის ხარჯთაღრიცხვა იყოფოდა შემდეგ ნაწილებად: საავიაციო-საფრენოსნო, წყალქვეშა კვების, სპეციალური, საექსპერიმენტო-საგამომგონებლო, ფეოქებადი ნივთიერებებისა და ელექტროტექნიკური. თავისი საქმიანობის დასაწყისში განსაკუთრებულ



ვ. ი. ბექაური რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის
კურსდამთავრებულების შორის
(შუა ასებით მარჯვნიდან მეორე). 1903 წ.

¹ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გამოგონებათა განყოფილების მასალებიდან.



ვ. ი. ბექაური ნაციონალურ ტანსაცელში. 1906 წ.

ტექნიკური ბიურო შედარებით ვიწრო ამოცანებს ასრულებდა — ახდენდა ბექაურის ან მისი თანამშრომლების მიერ წამოყენებულ სამხედრო ხასიათის ცალკეულ გამოგონებათა ჩეკოლიზაციას. უნდა ითქვას, რომ ბიურო მუშაობას მძიმე პირობებში, თითქმის ცარიელ აღგილზე შეუდგა. მის მიუხედავად არსებობის მეორე წელიწადს იქ შეიმუშავეს ახალი ოფიცერების მქონე ტორპედოების პირველი ნიმუშები, რომელთა საფუძველზე გაფართოვდა მათი საბრძოლო გამოყენების შესაძლებლობები.

ვ. ი. ლენინი დაინტერესდა ვ. ი. ბექაურის გამოგონებებით და მასში ნიჭიერი კონსტრუქტორ-გამომგონებელი დაიხსნა. შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მისი ინიციატივით ორჯერ — 1921 წლის 13 და 18 ივნისს — განიხილეს გამოგონებების საკითხი. სხდომებს ვ. ი. ლენინი თვემჯდომარეობდა!

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 13 ივნისსა სხდომამ (ოქმი № 231) მოისმინა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოხსენება ბექაურის ახალ სამხედრო-სახლვაო გამოგონებაზე (მოხსენებლები ბოგდანოვი, ლაპიარო-სკობლო) და დააღვინა: ა) სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 12 ივნისს შექმნილ კომისიას წინადაღება მიეცეს სახალხო კომისარიატების უკელა განაცხადის დასაფარავად შექმნილი 30-მილიონიანი ფონდიდან გასცეს 150 000 უკეიცარიული ფრანკი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამომგონებელ ინუინერ ბექაურისათვის თანახმად შრომისა

¹ მარქსიზ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 19, ღლ. 3, ს. 31.

და თავდაცვის საბჭოს აღრინდელი გადაწყვეტილებისა
ბ) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადაღება მიე-
ცეს ბექაურის ახალი გამოგონების გამოყენების საკითხზ
შეთანხმების შემთხვევაში ამბ. ავანესოვისა და ბოგდა-
ნოვის ხელმოწერით ამბ. ლენინს წარუდინონ ხელმოსა-
წერად".

1921 წლის 18 ივნისს შრომისა და თავდაცვის საბჭო ბექაურის გამოგონების შესახებ მიიღო კრცელი დადგენი-
ლება:

"შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა სახალხო მე-
ურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება
ვ. ი. ბექაურის ახალი სამხედრო-საზღვაო გამოგონების საქ-
მეზე და ამ გამოგონების დაწერვის ხერხების თაობაზე და-
დადგინა:

1. ვ. ი. ბექაურის ახალ სამხედრო-საზღვაო გამოგონების
ცენტრალური სამუშაოთა უშუალო შესრულება დაევალოს თვათ
გამომგონებელს, რისთვისაც მას მიეცეს სათანადო რწმუნ-
ბანი.

2. ვ. ი. ბექაურის ახალი სამხედრო-საზღვაო გამოგონე-
ბის გამოვლევისათვის სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური
ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან შექმ-
ნილი კომისია დამტკიცდეს იმავე პერსონალური შემადგენ-
ლობით სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევისა და გამომ-
გონებლისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენის მიზ-
ნით. ამასთან კომისიას უფლება ენიჭება თვისი რიგები

¹ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სახელმწიფო ორქივი,
ფ. რ-360, აღწ. 1, ს. 498, ფ. 15.

მეცნიერების ახალი წევრებით სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადო-
ბის კოლეგიაზე დამტკიცებით.

3. ვ. ი. ბექაურს წინადაღება მიეცეს სასწრაფოდ დამუ-
შაოს და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებაში წარადგინოს
კორეკტორი პუნქტში დასახელებული კომისიის დასკვნათ ხარჯთ-
უნიტებით მისი გამოგონების ცხოვრებაში დასანერგვად.

4. დაევალოს მცირე სახალხო კომისართა საბჭოს 3 დღის
მიზანით განხილოს საკითხი ავანსის საჭირო 25 მილიო-
ნაში გაცემის თაობაზე სამხედრო-საზღვაო ტექნიკის
მიზანით მოქ. ბექაურის გამოგონების ხარჯთაღრიცხვის დასა-
მისამართებლად.

5. დამტკიცდეს პირველაწყებითი შტატი თანამშრომ-
ებისა და მუშებისა, მეორე პუნქტში დასახელებული კომი-
სის დასკვნის თანახმად 77 კაცის რაოდენობით. მათ შორის
10 შემთხვევაში, 27 კაცი მაღალური და მაღალური მაღალური და
მაღალური მაღალური; ნება დაერთოს, რომ როგორც მუშებს, ისე კვე-
თო თანამშრომელს შრომა აუნაზღაურდეს ნარდად, შეთანხმე-
ბის საფუძველზე.

6. სასურათო კომისარიატს წინადაღება მიეცეს მუშაო-
ნისთვის აუცილებელი თანამშრომლებისა და მუშათა პერ-
სოსლი უზრუნველყოს გაძლიერებული სასურათო მომარა-
ებით და დაუყოვნებლივ გასცეს 27 სასურათო ულფა, იუშითა
მომარაების № 3 გაძლიერებული ნორმით. მათანან
ულფა უნდა მიეცეს მოსკოვში ვ. ი. ბექაურის წარმომად-
ებელს.

7. ვ. ი. ბექაურს უფლება მიეცეს მიიღოს რკინიგზის
მუშაონიერი ბილეთი მუშაობის დროს პეტროგრადში და უკან
სამგზავროდ სპეციალური დანაშნულების ვაგო-
ნებით.

8. პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს წინადადება მიეცეს განსაკუთრებული კომისიის (იხ. მეორე პუნქტ შვერები და გამოგონებები ვ. ი. ბექაური უზრუნველყო სატრანსპორტო საშუალებებით პეტროგრადში მეზავრობა საფოს).

9. პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს წინადადება მიეცეს ვ. ი. ბექაურს მუშაობისათვის ახალი სამხედრო საზღვაო გამოგონებების ცხოვრებაში დასანერგვად გამოუყოს ცალკე სიხელოსნო მოწყობილობითა და ხელსაწყოებით უზრუნველყოს სანაოსნო ბაზების გამოყენება გამოცდები საწარმოებლად, მოამარგოს ბექაური მუშაობისათვის აუცილებელი საწვავით, ყოველგვარი მასალებითა და გადასაზიდა საშუალებებით¹. გამოგონებლის ყველა წინადადება მოწონეს და მან მიიღო საჭირო რწმუნებანი და სახსრები აწინადადებათა განსახორციელებლად. ეს რწმუნებანი ონრანიული იყო ვ. ი. ბექაურის მიერ მიღებულ მანდატში (1927 წლის 9 აგვისტოს №0—a 10197), რომელსაც ხელს აწერდნენ შორმისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ლენინს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ბოგდანოვი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი ლ. ა. ფოტიევი.

შარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რა ღიღ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ბექაურის გამოგონებებს, მთლიანად მოვიყვანთ ამ საინტერესო დოკუმენტს:

„მიეცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ამა წლის 18 ივლისის დადგენილებით გამოგონებებს ვლადიმერ ივანეს დ.

¹ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ჩ. 4—360. აღწ. 1, საქმე 498, ფ. 20

ბექაურს, რომ მას დავაუზებული აქვს სასწრაფოდ განახორციელოს თავისი სამხედრო-საიდუმლო ხსიათის გამოგონებით.

ამ დავალების შესაბულებლად ამ. ბექაურს ენიჭება უფლება:

1. მოაწყოს ტექნიკური ბიურო და ცალკე სახელოსნო;
2. აწარმოოს სამუშაოთა ყოველგვარი გაანგარიშებანი;
3. განწესებით მიიღოს სახელმწიფო მომარავების ორგანიზაციის მასალები, ინსტრუმენტები, ინვენტარი და სხვა საჭირო მოწყობილობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მათი მიღება სახელმწიფო რესურსებიდან, აღნიშნული საენერგეტიკო შეიძინოს თავისუფალ ბაზარზე;

4. აწარმოოს შესაფერი ცდები და გამოცდები;
5. მუშაობაში მონაშილეობისათვის მიიწვიოს მაღალკალიფიციური თანამშრომლები და მუშები და შრომა აუნაზროვნოს ნაჩვან, შეთანხმების მიხედვით.

მის გარდა ვ. ი. ბექაურს ენიჭება უფლება:

1. ისარგებლოს ტელეგრაფითა და საქალაქთაშორისო ტელეფონით სამხედრო დაწესებულებათა თანაბრად.
2. საჭირო შემთხვევებში მიავლინოს თავისი თანამშრომლები მოსკოვისა და პეტროგრადის გუბერნიის კველა ქალაქში.

პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ევალება გამოიყოს ამ. ბექაურს მისი გამოგონების განხორციელების სამუშაოთა საწარმოებლად შენობა ტექნიკური ბიუროსათვის, მოწყობილობა და ინსტრუმენტები ცალკე სახელოსნოს შესაქმნელად, საშუალება მისცეს მას გამოიყენოს სანაოსნო ბაზები გამოცდების ჩასატარებლად, მოამარგოს ამ. ვ. ი. ბე-

ქაური სამუშაოსათვის საჭირო სათბობით, ყველა მასალით
და გადასაზიდით სამუალებებით, იგრძეთვე უზრუნველყოს იქ
საჭირო სამუალებებით პეტერბურგში მიმოსვლისათვის.

ყველა დაწესებულებამა და თანამდებობის პირებს წინა
დადგება ეძლევათ ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელ
3. ი. ბექაურს მასზე დაკისრებული ამოცანის განხორციე
ლებაში¹.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მოთავარით ვ. ი. ბექაურ
იგრძეთვე მისცეს კრემლის მუდმივი სამვი № 0864.

ს. ვ. კრეონოსნოვი თავის მოგონებაში წერს
„3. ი. ლენინმა ბექაურს დიდი ინტერესით მოუსმინა და გან-
საკუთრებული გულისხმისაგა გამოიჩინა მისი იდეებისაღმ-
და დახმარების ორმოჩენა აღუთვა“².

ტექნიკური ბიუროს შესაქმნელად პირითადი ბაზა იყ
პირველი მსოფლიო ომის დროს პეტროგრადში აგეპული სამ-
ხედრო უწყების ცენტრალური ელექტროტექნიკური ლაბო-
რატორია, რომელსაც სათავეში დგა ვ. ი. ზაბუტსკი. ლაბო-
რატორიას ჰყავდა ჩალიფუციურ მეცნიერ მუშავთა პირთვი-
ჭინდა ზოგიერთი მოწყობილობა და რამდენიმე მოუწყობე-
ლი ლაბორატორიული კაბინეტი.

ცენტრალურ ელექტროტექნიკურ ლაბორატორიაში მაშან
შედიოდა ძლიერი დენების ლაბორატორია, რომელსაც
ხელმძღვანელობდა პეტროგრადის პოლიტექნიკური ინსტი-
ტუტის პროფესორი მ. ა. შატელენი, სუსტი დენების ლაბო-
რატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმავე ინსტიტუტის

¹ პარქისმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქი-
ვ. 2, აღწ. № 1, ს. 211614, ფ. 30.

² ცენტრალური ფონდი, ს. ვ. კრიკონოსოვის მოგონებიდან, ფ. 26,

შემდეგ კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადე-
მის ნამდვილი წევრი ვ. თ. მიტკევიჩი, ფიზიკის ლაბორატო-
რიადან პარმანენტის განყოფილება.

შელე ვ. ი. ბექაური სათავეში ჩაუდგა ცენტრალურ
ელექტროტექნიკურ ლაბორატორიას. შემდეგ ეს ლაბორა-
ტორია შეუცილდა ტექნიკურ ბიუროს და ეწოდა „განსაკუთ-
რებული ტექნიკური ბიურო“. ბიუროს დარსების პირველ
ერთოდში იქ მუშაობდა 77 თანამშრომელი.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ მეტი სიმ-
წავით დაისა წითელი არმიის მაღალ მეცნიერულ-ტექნი-
კურ დონეზე აღჭურვის საკითხი. ერთ-ერთი ძირითადი ორგა-
ნიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო შესარულებინა ეს
ასოციაციი, იყო განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო. ბიუ-
როს სამეცნიერო ხელმძღვანელად დაინიშნა გამოჩენილი
შეცნევირი, აკადემიკოსი ვ. თ. მიტკევიჩი, რომელმაც ამ დიდ-
ისიმებელოვან სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობის მა-
სალებად თავისი მოწაფებიც შემოიყრიბა!

მიჩინა, უკვე 1921 წლის დამლევისათვის ყველა საჭირო
პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელე-
ბულიყო მუშაობა შესარულებლად, რომელშიც ანიშნული იყო ტექ-
ნიკურ ბიუროსთან „ცალკე სახელოსნოს“ შექმნის საჭიროე-
ბა, ამ სახელოსნოს ბექაურმა უწოდა „ეკსმანი“ — ექსპერი-
ციენტული სახელოსნო მეცნიერული კვლევისათვის.

ცალკე სახელოსნო, როგორც ასეთი, არ არ-

¹ აკად. ვ. თ. ვიტკევიჩი, „რჩეული შემთხვები“, სსრ მეცნი-
ერებათა აკადემიის გამოცემა, მ-ლ, 1956 წ., გვ. 10.

სებომდა. იგი იყო თავისებური შირქა საზღვარგარეთიდან საჭირო მოწყობილობებისა და ტექნიკური ლიტერატურის მისაღებად, რაღაც ამის მიღწევა განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს საშუალებით უიმედო საქმე იყო. ამ სახეცი ლური დანიშნულების ბიუროს სახელშოდებაც კი კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავების პირობები დიდ ეპვერს იწვევდა მათ შორის. თავის ვრცელ მოვნებებში ვ. ი. ბეჭაურის შესახებ ს. ვ. ქრისონისვეს მოკვავს საიტერსო მონაცემები ამ „სახელოსნოს“ შესახებ. „შემთხვევით როდი გამოიყენა ბეჭაურმა სახელშოდება „ეკსმანი“ ინგლისურ ენაზე ეს უღერდა, როგორც ისეთი რამ, რაც დაკავშირებულია ფულთან (ინგლისური „მანი“ ფულს ნიშნავს ზოლო წინსარით „ეკსი“ — რაიმეს მიღებას). ამიტომ ინგლისურად ეს უღერდა, ყოველ შემთხვევაში ისეთ რამედ, რა უშუალოდ ფულთან არის დაკავშირებული“.

„ეკსმანი“ მიმოწერას აწარმოებდა უცხოეთის ფირმებით და მათთან სელშეკრულებებს, საზღვარგარეთ გზავნიდა თავის წარმომადგენლებებს, რომლებსაც თვალყური უნდა ედევნებინათ შეკვეთების შესრულების მიმღინარეობისადმი და მიერთო მზა მოწყობილობა, აწარმოებდა გადახდას ვალში ტით და სხვ. 1922 წელს თვით ბეჭაურიც გაემგზავრა გერმანიაში, ესტონეთსა და შეეციაში მის მიერ გამოვონებული სისტემის — სასიგნალიზაციო აპარატურის დამზადების შექვეთის შესრულებისადმი თვალყურის სადაცნებლად“¹.

¹ ეტორის პირადი ფონდი, ს. ვ. ქრისონისვეს მოვნებებიდან, გვ. 31.

² სსრკ მინისტრთა საბჭოს მთავარი საარქივო სამმართველო, ფ. 722, აღწ. 3, ს. 62.

„ექსმანის“ მეშვეობით განსაკუთრებულშა ტექნიკურმა უცხოეთიდან მიიღო დადგძალი საზომი ხელსაწყოვებით სესიალური მანქანები და სხვა ფრიად ძირიფასი სამეცნიერო და ლაბორატორიული მოწყობილობა ამერიკას, ინგლისა და გერმანიის ფირმებისაგან, აგრეთვე სპეციალური ცენტრი ლიტერატური.

განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს სამუშაოთა თემა-სამსხვედრო ტექნიკის დარგში ძალზე მრავალფეროვანი ეფექტოდა ნაღმებისა და ტორპედების, წყალქვეშა ეკვირგაბმულობის, საპარაშუტო ტექნიკის, ტელე-ეკისენისა და სხვა დარგებს. შემდგომ დაამუშავეს იარაღის ნიშულები, როგორიცაა ნაღმები, ტორპედები წყალქვეშა ხელმისაწვდომი საშენებლად, განსაკუთრებული ფუგასები, რადიოს საშეალებით მართული კატარლები და სხვ. ამასთან ეს მხო-ლოდ ჩიგირი საინკირო დამუშავებები კი არ იყო, რომლებ-ს უწინიშვნელო გაუმჯობესებები შეპქონდათ სამხედრო უსამართლების არსებულ ნიშულებში, არამედ იარაღის ტაქტიკური ტექნიკური მონაცემების ძირიფერით სრულყოფა.

1924 წელს, მაგალითად, დაამუშავეს ნაღმი, რომელსაც სასილენე ბეჭრის საშუალებით მართველნენ, თხიერი გაზით სისუშევე ტორპედები, თვითმოძრავი ნაღმებით ხომალდებას წარმატების ხერხი და ჩიგი სხვა აქტიუალური ტექნიკური პრინციპებით.

სრული დარგის მუშარ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საზღვაო ძალების სამშართველოში 1928 წელს გამართული ერთ-ერთი თათბირის ოქმში მითითებულია, რომ ინტერესს აქვევს განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს 50-ზე მეტი ნიშულებარი, მათ შორის: ლითონის მასის აღმოჩენის ხერხი,

შიდაწვის ძრავათი მოძრავი ტორპედა, ტორპედის საჰაერო საჭიროები, ხანგრძლივად მცურავი გადამღმი ნაღმი და სხვ.

იმ დროისათვის განსაკუთრებული ტექნიკურმა ბიურ

შევე დამთავრა წყალქვეშა ნავებისათვის განკუთხნი

ტორპედულის ნიმუშები, სატორპედო აპარატი, შიდასაესკა

რო ქაშირგაბმულობა და დამუშავა სამხედრო-საზღვ

ფლოტის ტექნიკურ აღჭურვასთან დაკავშირებული იმ პერ

ოდისათვის სხვა ქეტუალური საკითხები.

1926 წელს გამოცდილ იქნა განსაკუთრებულ ტექნიკურ

„ეპრონის“ შეფასებაში ნათქვამი იყო, რომ მუშაობის პრ

ცესში ლითონმებნა შემდეგი ღირსებები გამოავლინა:

ჩიშნავს ლითონის არსებობას წყალქვეშ; ხელსაწყო ისე შეი

ლება მოიმართოს, რომ შესძლებს აღნიშნოს ლითონის მა

ჩვენებებს, შეიძლება მას უსიტყვიდ ვენდოთ; ხელსაწყო არ იძლევა მცდა

უნარი შესწევს არა მარტო აჩვენოს ლითონის არსებობა მო

ცემულ აღგილზე, არამედ განსაზღვროს მისი რაოდენობა

რითაც თავიდან აცილებს მყვინთავებს წყალში ხშირ ჩაშვება

ხელსაწყოს დახმარებით შესაძლებელია ზუსტად დადგინდე

მეტალის მასის აღგილმდებარეობა, ამასთან აუცილებელ

აღარ არის დიდი მოედნების გამოკვლევა, რაც თვალსაჩინო

დაღასტურდა 1926 წლის 18 ნოემბერს წყალქვეშა ნავის აღ

მოჩენის დროს, რაღესაც წყალში ჩაშვებული მყვინთავ

პირველსავე შემთხვევაში ნავზე მოხვდა; ხელსაწყოს შუშაო

ბა დამოკიდებული არ არის ამინდზე; მას შეუძლია ქებნა

წარმოება მაშინაც, როცა უკელა სხვა ხერხის გამოყენება

უშედეგოა; ხელსაწყო საშუალებას იძლევა ლითონი დიდ

ერთმეტებული აღმოვაჩინოთ, რაც ტრალის სიგრძეზეა დამოკიდებული.

1926 წელს ორი კვირის განმავლობაში ხელსაწყოს სა

ფარგლებით ნაპოვნია მრავალი ჩაძირული ხომალდი და წყალ

ქვეშა ნეირ სხვადასხვა სიღრმეზე¹.

მოცემებს, რომლებიც განსაკუთრებული ტექნიკური

უფრო წინაშე იყო დასახული, უაღრესად დიდი მნიშვნელის ქვენდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის. მავე დროს

ეს როდი იყო ამ ამოცანათა გადაწყვეტა იმ პერიოდში,

ოცნების სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დამ

დამკიცების შემდეგ ვაწარმოებდათ სახალხო მეურნეობის

დაცვის.

აგანსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში პირველი ნაბიჯე

ოდენდოდა იმ დარგში, — წერს თავის მოგონებებში სსრ

კუმის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი

ექიმი, პროფესორი ს. ვ. ანიჩკოვი, — რომელსაც ახლა

უფრო უდიდესი მიღწეულები მიწაზე, წყალში, პარასა და

სისტემში, ეს გახლავთ აპარატების მართვა შორ მანძილზე

დამოკიდების საშუალებით, რასაც დღეს ტელემექანიკა

უწევდა².

კისაკუთრებული ტექნიკური ბიუროს დიდ მიღწეულებზე

აგრეთვე ტექნიკური ჯარების თაღარიგის გენე

რალ-მაიორი ი. არტემიევი თავის მოვლენებებში, რომლებიც

მოქადაგდებულია „ვოენ-ისტორიჩესკი უურნალში“, № 4,

1967 წ.

¹ სსრ თვალსაზღვრის სამინისტროს გამოვლენებათა განყოფილების

მოცემების მიხედვით.

² კუმორის პირადი ფონდი, ს. ვ. ანიჩკოვის მოგონებებიდან, ფ. 22.

„1924—1925 წლებში ის იყო დაიწყეს მუშაობა რაღა მაუწყებლობის პირველმა სადგურებმა, — წერს იგი, — რადიოს მეშვეობით აფეთქებათა მართვის საშუალები იმდენად ახალი იყო, რომ ბევრს არც კი სკეროდა მათი რლობა. ამის მიუხედავად, სარ კავშირის რეკოლუციური სხდომა საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო-საზღვაო საქმე სახალხო კომისარი მიხეილ ვასილის ქე ფრუნძე ამ გამოვალაში და მინისტრების ანაჭებდა, და მოითხოვდა, რომ დაეჩიპარებინათ ხელსაწყოთა მაჟუტებელი ნიმუშების დამუშავება მუშარ-გლეხური წითელი არმია შეისარაღებაში მათი მიღებისათვის!“

საცდელი ნიმუშების დასამზადებლად პეტროგრადის ხალხო მეურნეობის საბჭომ თავდაპირველად ერთ-ერთ ქანას დაავალა გმირებულ არი სახელმისნო, ხოლო თვი განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში შეიქმნა სამაკეტო ხელოსნები, სადაც მაღალკალიფიციური მუშების შეკვეთით მაგრამ ეს საწარმო პაზა როდი შეესაბამებოდა ამოცანებს, რომლებიც დასახული ჰქონდა განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროს. ამიტომ ბეჭაურმა თანამათონშით მიადგინა, რომ ლენინგრადში აავეს იმ დროისათვის საუკეთესო ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი სპეციალური საექსპერიმენტო ქარხანა. მაღვე დაარსდა იგრეთვე განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს მოსკოვის ფილიალი საექსპრიმენტო ქარხნითურთ ცერთ დროს მოსკოვის ფილიალ დირექტორი იყო ძველი ბოლშევიკი ილია წივწივაძე.

¹ ი. არტემიევი, „განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო“, „კორსორინგსკი უსტნალ“, № 4, 1967, გვ. 72.

— 23 წლებში მოსკოვის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების იგი ხშირად შეცვედრია ვ. ი. ლენინს და ფიდელი მრავალჯერ შეუსრულებია), ხოლო შემდეგ — იული სეკასტოპოლში!

მიზნით, განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროსთან შეიქმნა ფიდელი საწარმო ბაზა. ამასთან ერთად მზადდებოდა განსაკუთრებული ბაზაც.

როგორც ზემოთ ითქვა, შრომისა და თავდაცევის საბჭოს მოწყობით პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭო შეეცავა ვ. ი. ბეჭაურისათვის შეექმნათ შესაძლებლობა-განვითარებინა სანაოსნო ბაზები ცდების საწარმოებლად.

შესაძლებლობა იყო ფინეთის ყურეში, ლადოვისა და კასტებზე, ფინეთის ყურეში და ონეგის ტბაზე, შემდეგ შე სლეპეშეც, შეიქმნა კარგიდ მოწყობილი გამოსაცაველი სენი, განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს განკარგულების იყო ბეჭარი კატარდა და ხომალდი სპეციალური ნაგადებით, შეი მორისა: ყოფილი საექსადრო ნაღმოსნები, ტრაუერები, დამხმარე გემები, სანავსადგურო ყინულებულები, ეკიპინი ბაზა.

ვ. ი. ბეჭაურის ინიციატივით განსაკუთრებულ ტექნიკურ უწინითა მოწყობილ იქნა საფრენ-გამოსაცდელი ბაზა, სა- კუთრები და სხვ. გამოცდაში მონაწილეობდნენ მფრინავი სამსულელები: ნ. ნ. ბოლოტოვი, ბ. ვ. ქავთარაძე (დიდ სამართლო მმში ბ. ვ. ქავთარაძე გმირულად იცავდა ლენინგრადის), ს. კლავიტოვი, მორიზოვი, უურაგენკო და სხვები.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გან-

¹ ეტორის პირადი უონდი, ა. გ. მოროზოვის მოგონებებიდან, ფ. 8.

საკუთრებული ტექნიკური ბიურო გადაიქცა მძღვრი საწა
მოო ბაზისა და სამეცნიერო ლაბორატორიების მქონე საე
თო საკავშირო მნიშვნელობის უდიდეს სამეცნიერო-საკვლ

დაწესებულებად.

ვ. ი. ბეჭაური შესანიშნავი ორგანიზატორი იყო და შე
ლო განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში შეეღუდაბები
მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშავთა კოლექტივი. ამ კ
ლექტორში იუვნინ განსაკუთრებული ტექნიკური ბიური
სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვ. თ. მიტევიჩ
პროფესორები, მასწავლებლები და ნიჭიერი ინჟინერები
ე. ლ. ბრავინი, მ. მ. ბოგოსლოვსკი, ბ. ვ. მატვეევი, ნ. ა. დ
პ. ა. გილიაროვები, ლ. პ. შიშელოვი, ურავსკი, ა. ტ. იაჩვ
ზინი, მ. ი. კლეინი, ა. პ. სლეპუშინი, პ. ს. პოროხოვსკ
ა. ა. კალინინი, ვ. ე. უმელიანოვი, ე. ი. ტერ-მარქარიანუ
ა. ი. გურინი, ა. ი. დერკაჩი, პ. ი. ზარუბინი, კ. პ. ბოკლევსკ
ე. ა. სმირნოვი, პროფესორი პ. ლ. კალანტაროვი, ვ. პ. სუ
ხოდსკი, ი. ა. დოპროტვორისკი, ა. ნ. სტერლინგოვი, ვ. ი. შ
როვი, ე. ვ. კრასნოპეროვი, ვ. გ. ანიჩკოვი, პ. მ. ბესტერ
ვი, ს. მ. შრეიბერი, ი. ს. შეგლიაევი, ს. ი. ვოსკერესნიკ
ა. ა. ლიულკა, კ. კ. ფოხტი, ი. ა. პარხაიკინი, ი. ნ. ჩებელინი
ვ. ფ. ქავთარაძე, ი. პ. გრავე და სხვები.

ბიუროს მუშაობაში მონაწილეობდნენ ან კონსულტანტე
ბად იყვნენ მიწვეული აუდიმიკოსები ა. ნ. კრილოვი, ა. ი.
ნ. ნ. ბერევები, გ. გ. გონჩაროვი, გ. მ. მიხაილოვი
განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროს დიდ დამხმარება
უწევდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები

ე. ე. ჭერიანსკი და მ. ნ. ტუხაჩევსკი. 1929 წელს
კუთხით მითითებით განსაკუთრებული ტექნიკური ბიუ
როს მიზნებისაცის განსამტკიცებლად გაიგზავნა 15
იუნისი-კუმუნისტი. ბევრი მათგანი შემდეგში თვალსაჩი
ნობის მიზნებით და მეცნიერი მუშავი გახდა, როგორც
გ. ლ. გორგავი, ა. ი. ხოხლოვი, დ. ნ. კიბიატყვი, ს. ვ.
სარაივე, ი. ა. კაბელევიჩი, კ. ვ. ვერჩუნოვი, ს. ვ. კრი
სტივი და სხვები.

მასში, თუ რა დიდი სიფრთხილით და დაკვირვებით არ
არის მეტაური განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროსათვის
მიზნების, ი რას გვიამბობს კ. ს. ნიკიფოროვი, რომე
ლისტროტერის დამთავრების შემდეგ ამ ბიუროში კონს
ტიური გაფარგვების მიღებისას ბეჭაურია
წარმატების განათლების მიღების შემდეგ რეალურ
მიზნის უწდა იმუშაოთ, ამის მერე კი შეგიძლათ ინჟი
ნირული ტერიტორიის წოდების მოპოვებაზე იფიქროთ².

კუთხით პრაქტიკანტები ჩარიცხეს.

ს. მ. სანდლერის თქმით, ბეჭაური დიდი
სატორი იყო და შეეძლო თავისთან შემოეკრიბა ყვე
ლიშემორი იხალგაზრდა და გამოცდილი, მაღალკვალიფი
ცი ისტინგები, რომლებიც ამუშავებდნენ განსაკუთრე
ბული მიზნებით მნიშვნელობის ფრიად საჭირო ტექნიკას³.
ამ შედეგად განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს სამ

დეტალის მირადი ფონდი, ს. ვ. კრივონასოვის მოგონებებიდან,
ისმი: ე. ს. ნიკიფოროვის მოგონებებიდან, ფ. 10.
ისმი: ს. მ. სანდლერის მოგონებებიდან, ფ. 2.

ხედრო გამოგონებების დიდი უმრავლესობა გადაეცა არმ შეიარაღებაში. შევჩერდებით მათგან მხოლოდ ერთზე რაღიოთი მართულ ფუგაძე.

როგორც რაღიოთი მართვის გამოცდის მონაწილე, ტექ კური ჯარების თაღარიგის გენერალ-მაიორი ი. არტემი ადასტურებს, პირველი ასეთი გამოცდა მოეწყო 1925 წლის ში, ლენინგრადის სანიჩბოსნო ნავსადგურში ტრაულ „მიულადან“, რომელიც აფეთქების ადგილიდან 25 კილ მეტრით იყო დაშორებული. გამოცდას დაესწრნენ მ. ვ. ფრაზე, საზღვაო ძალების უფროსი და კომისარი ვ. ი. ზო საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ი. ს. ულიხტი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარლაშ. მ. შაბოშნიკოვი და სხვები. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

შემდეგი გამოცდა, რომელსაც ესწრებოდნენ კ. ე. კორშილოვი, გ. კ. ორგონიკიძე და უმაღლესი სარდლობის წამომადგენლები, კვლავ ლენინგრადში განხორციელდა 1931 წლის ნოემბრის თვეში.

1927 წლის მარტში მოხდა ფუგაძის შორ მანძილზე აფეთქებელი მოწყობილობების გამოცდა. მართვის სადგური მოწყობილი იყო ლენინგრადში, აფეთქების ადგილიდან 1 კილომეტრის დაშორებით. ხელსაწყოები ჩაფლული იყო საესე ორმოებში, 15 მეტრის სიგრძის ანტენე თოვლზე ეწყო, ფუგასურ ხელსაწყოთა სიგრძე 60 მეტრადა. კომისიამ დანიშნულ ადგილზე დადგა სამი ცა კული და ერთიც ჯუფური ხელსაწყო. აფეთქების მართვაში წარმოებდა წინასწარ შემუშავებული პროგრამით, რომელითვის შინებდა 6 აფეთქების მოხდენას, მათგან 3 უნდა ყვალისწინებდა.



1927 წლის ფეხის დროის უფროსთან ეკატერინე გიორგის ასულ ნოზაძესთან
ერთად და გუსტავის ასულ ვალესტრემის ერთად. 1908 წ.



განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს ხელმძღვანელები
და თანამშრომლები.

ცეცხლი ცეცხლი აფეთქება მოკლე ტალღაზე და 3 ჯგუფური
ასახულის — გრძელ ტალღაზე.

კარის უსახებ კომისიის დასკვნაში ნათქვამი იყო,
რამდენიმე უსანიშნავი შედეგები მოგვცეს და ერთხელ
რამდენიმე ხელსაწყოების შეუფერხებელი მუ-

შეუძლია ითვალისწინებდა დაბრკოლებებისაგან ხელსა-
კულტურის გამოცდასაც. დაბრკოლებების შესაქმნელად
არა ხელსაწყოებით მართული სადგურის ტალღის ზონა-
ში მდგრად ჩადიოსადგურები. გამოცდის აქტში აღნაშნუ-
ლი, რომ „მთელი რიგი დამატებითი გართულებების
მიზანთ, აღნიშნული სადგურების ჩამოშობი და ხელის-
მიზანთ ხემოქმედებანი ხელსაწყოების მუშაობაზე სრუ-
ლია ამ მდგრად გავლენას, ხელსაწყოების პასუხობდნენ
მათ და მყარად და მხოლოდ თავისი მართვის სადგურის
მიზანს იღებდნენ“.

1927 წლის დამდეგს, — წერს გენერალ-მაიორი ი. არტე-
ნისა კუთხებულმა ტექნიკურმა ბიურომ დაამზადა
აფეთქებების მართვისათვის საჭირო ხელსაწყოე-
ბის ნიმუშები. ხელსაწყოებს მათი გამომგონებლების ბეჭა-
ული და მიტევისის გვარების საწყისი ასოების მიხედვით
ეშვდა. 1927 წლის 2 ოქ 3 მაისს ამ ხელსაწყოების
ნიმუშები ნაჩვენები იყო მოსკოვის მახლობლად მდებარე-
ოւნ სამხედრო პოლიგონზე, მათი მართვა კი წარმოებ-
ოს დანასაკუთრებული ტექნიკური ბიუროს
საშუალებით, რომელსაც განავებდა ინჟი-
ნირ. ი. ა. ლიულკა. ყველა ხელსაწყო ამოქმედდა დანიშნულ

დროს. გამოცდას დაესწრენ მ. ი. კალინინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, გ. კ. ორჯონიქიძე, ი. ე. რუძუტაკი პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

